

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“  
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო  
სასწავლებელი ანრის დირექტორი  
\_\_\_\_\_ა.დიასამიძე  
10.01.2024 წ.

დადგენილება:  
2024 წლის 10 იანვრის სენატის სხდომაზე, ოქმი №01:  
დირექტორის 2024 წლის 10 იანვრის ბრძანება № 08-01/24

I. შესავალი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის შრომის უსაფრთხოების გეგმა შემუშავებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას და სასწავლებლის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას.

შრომის უსაფრთხოების გეგმა მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ინფორმაციას:

- სასწავლებლის შესახებ ინფორმაცია;
- სასწავლებლის მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა;
- რისკების შეფასება და მართვა;
- პერსონალის სწავლება;
- უბედური შემთხვევების მოკვლევა;
- პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა;

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

- საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია;
- მონიტორინგი და კონტროლი;
- შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა;
- პასუხისმგებლობა, ფუნქცია მოვალეობების გადანაწილების ცხრილი;
- დანართები

II. კომპანიის შესახებ ინფორმაცია

კომპანიის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
საიდენტიფიკაციო ნომერი	245539403
წარმოების მისამართი	ქ.ბათუმი, დავით მამაულაძის ქN6 (ყოფილი შ.ინასარიძის ქ. N29)
დირექტორი	ანზორ დიასამიძე
დირექტორის ტელეფონი	599 69 15 55; 579 69 15 55
ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	მინდია თავართქილაძე
ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის ტელეფონი	598 09 15 73:
წარმოების საქმიანობის სფერო/ეკონომიკური საქმიანობის სახე	➤ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

განმახორციელებელი დაწესებულება / კოლეჯი;  
➤ მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი

III. მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა

1) დირექტორი

შპს ბუსსს ანრის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დირექტორი:

- უზრუნველყოფს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმას სასწავლებლის ყველა თანამშრომლამდე დაყვანას.
- გეგმავს და აკონტროლებს უსაფრთხოებისათან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებებს.
- უზრუნველყოფს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით დამსაქმებლისთვის წაყენებულ მოთხოვნების დაცვას.
- ამტკიცებს ინსტრუქციებსა და სხვა დოკუმენტებს.
- ახორციელებს რისკების საერთო მენეჯმენტს.
- აკონტროლებს შპს ბუსსს ანრის თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის დაცვას.
- უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშა-მოსამსახურეთა აღჭურვას.
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების შეცვლას.
- უზრუნველყოფს პირველადი დახმარების საშუალებებით.

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



### შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

- შპს ბუსსს ანრის ბიუჯეტი ითვალისწინებს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
- უზრუნველყოფს პერსონალისთვის სავალდებულო ტრენინგების ჩატარებას.
- სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის აღმოდგენას.
- უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის უბედურ შემთხვევაზე დაზღვევას.

#### 2) ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

შპს ბუსსს ანრის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი:

- ახორციელებს სასწავლებლის პერსონალის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს.
- შპს ბუსსს ანრის თანამშრომლებისათვის შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს შრომის უსაფრთხოების შესახებ.
- მონაწილეობს საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაში.
- მონაწილეობს სამუშაო სივრცეში ინციდენტების რეგისტრაციას, მოკვლევას და ინციდენტების გამომწვევი მიზეზების დადგენას და შესაბამისი ზომების მიღებისათვის რეკომენდაციებისა და მითითებების შემუშავებას.
- მონაწილეობს :მაფრთხილებელი, შეზღუდვისა და აკრძალვის ნიშნების განთავსების ღონისძიებებში.
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ადგილმდებარეობებისა და სწორად გამოყენების წესის ცოდნის კონტროლს.

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

- უზრუნველყოფს სასწავლებლის შრომის უსაფრთხოების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების პერიოდული განახლებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ახორციელებს კანონმდებლობით სავალდებულო ტრენინგების ორგანიზებასა და დოკუმენტირებას.
- ამზადებს და წარადგენს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასწავლებლის ხელმძღვანელების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.
- ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე.
- ახორციელებს სასწავლებლის შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს.
- მონაწილეობს ინციდენტების მოკვლევის ოქმის შედგენის პროცედურებს.

### IV. რისკების შეფასება და მართვა

სასწავლებელი განახორციელებს საწარმოში არსებული რისკების საერთო შეფასებას, როგორც მინიმუმ წელიწადში ერთხელ. რისკების საერთო შეფასება ასევე მოხდება წარმოებაში არსებული სამუშაო გარემოს, ტექნოლოგიის ცვლილების, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნებისა დანერგვის შემთხვევაშიც.

რისკების შეფასებისას მოხდება, როგორც კონტროლის მიმდინარე ღონისძიებების გაწერა, ასევე შემდგომში განსახორციელებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსაზღვრა, ნარჩენი რისკები განსაზღვრა.

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

სამუშაოთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება ზოგადი რისკების თვისობრივი შეფასება. რისკების შეფასებას ხელმძღვანელობს ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მოცემულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სათანადო ხელმძღვანელი პირის და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის დახმარებით.

რისკის შეფასების პროცესი განსაზღვრავს:

- რა არის საფრთხე?
- ქმნის თუ არა საფრთხე რისკს?
- რამდენად მნიშვნელოვანია ეს რისკი?
- დასაშვებია თუ არა რისკი?
- თუ დაუშვებელია რისკის დონე, კონტროლის რა ზომების მიღება შეიძლება მის დასაშვებ დონემდე შესამცირებლად.

მომეტებული საფრთხის აღმოჩენის ან რისკის მაღალი დონის შემთხვევაში სამუშაო პროცესი არ დაიწყება შესაბამის კონტროლის პროცედურების განხორციელებამდე - საფრთხის აღმოფხვრამდე ან რისკის მინიმალურ დონეზე დაყვანამდე.

„სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №01-15/ნ ბრძანებით დადაგენილი რისკების მშეფასების ფორმის გათვალისწინებით (იხ.დანართი 2), განხორციელდეს რისკების შეფასება 2020 წლის 06 თებერვლის №80 მთავრობის დადგენილების მე-6 მუხლის ე-ქვეპუნქტის შესაბამისად, ყოველ 6 თვეში ერთხელ.

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

შპს ბუსს ანრის ადმინისტრაცია სამუშაოზე დაუშვებს მხოლოდ მომზადებულ, კომპეტენტურ პერსონალს, რომელთა მომზადება განხორციელდება, როგორც საერთო უსაფრთხოების წესებში, ასევე კონკრეტული სამუშაო პროცედურების უსაფრთხოების საკითხებში.

სამუშაო სივრცეში, ტექნოლოგიაში, შესასრულებელი სამუშაოს ტიპის ან ფორმის ცვლილების შემთხვევაში მოხდება პერსონალის შესაბამისი გადამზადება.

ტრენინგების და ინსტრუქტაჟები ჩამონათვალი:

- დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები - წელიწადში ერთხელ
- სახანძრო უსაფრთხოება - 6 თვეში ერთხელ
- პირველადი დახმარება
- ელექტრო უსაფრთხოება
- საოფისე უსაფრთხოება

### VI. უბედური შემთხვევის მოკვლევა

სასწავლებელში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზანია ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა, უბედური შემთხვევების პრევენცია. მოკვლევის მიზანი არ არის დამნაშავე პირის გამოვლენა და დასჯა.

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



**შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის**

უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით, სასწავლებელი ქმნის უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიას ინციდენტიდან 24 საათში. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი,  
სასწავლებლის დირექტორი ან მენეჯმენტის სხვა წარმომადგენელი,  
დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირი.

ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი და მოკვლევის კომისია ინციდენტის შემთხვევაში განახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

**უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია:**

- თვითმხილველთა გამოკითხვა;
- სასწავლებლის თანამშრომელთა და ექსპერტების ინფორმაციის შესწავლა;
- ფოტომასალის, სქემების, გეგმების და სხვა მტკიცებულებების შესწავლა;
- საწარმოო გარემოს პირობების ანალიზი;
- უბედური შემთხვევის გამომწვევი ფაქტორების დადგენა;
- გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმის გაფორმება.



## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

## VII. პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა

შპს ბუსს ანრის ადმინისტრაცია პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით:

- უზრუნველყოფს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას;
- უზრუნველყოფს სასწავლებლის აღჭურვას შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავესა და ტექნიკური გამართულობას;
- სასწავლებელი უზრუნველყოფს გარემოს ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების შემოწმებას;
- მუდმივად იზრუნებს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე და ამისათვის გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს;
- მწვავე პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაიყვანს დასაქმებულს სამედიცინო დაწესებულებაში.

მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით სასწავლებლის დირექტორი შექმნის პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფს ან/და მოიწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

შპს ბუსსს ანრის ადმინისტრაცია გაატარებს ჯგუფის/მოწვეული სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ, პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებებს.

### VIII. საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია

მომუშავეების სიცოცხლის გადარჩენა სასწავლებელში არის პრიორიტეტი. ერთერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი არის მომუშავეების ევაკუაცია.

#### საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისთვის სასწავლებელი:

- განსაზღვრავს პირობებს, როდესაც ევაკუაცია ხდება აუცილებელი;
- განსაზღვრავს მითითებებისა და ბრძანებების თანმიმდევრობას;
- განახორციელებს პერსონალის სათანადო სწავლებას;
- პერსონალს განუსაზღვრავს ევაკუაციის გზებსა და თავშეყრის ადგილს;
- სათანადოდ თვალსაჩინო ადგილებზე განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს, საავარიო განათებებს (დამუკიდებელი ელ.ენერგიით უზრუნველყოფილი) და საევაკუაციო გეგმებს;
- ინტენსიურად შეამოწმებს საევაკუაციო გასასვლელებსა და შესაბამის ნიშნებს;
- დანიშნავს კომპეტენტურ პირს, ვინც განახორციელებს საევაკუაციო ღონისძიებების მართვას.

#### ავარიული და საგანგებო სიტუაციებისას:

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

- მოხდება სამუშაო პროცესის გაჩერება
- დაუყოვნებლივ მოხდება სამუშაო სივრცის დატოვება საევაკუაციო გეგმის მიხედვით
- მოხდება შესაბამის სამსახურების დაუყოვნებლივი ინფორმირება (112)
- დაზიანებულ პირებს გაეწევათ პირველადი გადაუდებელი დახმარება
- ტერიტორიაზე აღმოჩენილი გარეშე პირებისთვის, ასევე მათთვის ვინც შესაძლოა არ იცოდნენ საევაკუაციო პროცედურები, მოხდება დახმარების აღმოჩენა - ტერიტორიიდან გაყვანა.
- ევაკუირებული პირების შეკრება მოხდება საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ თავშეყრის ადგილზე
- სახანძრო-სამაშველო სამსახურებს მოსვლისთანავე გადაეცემა საწარმოს გეგმა-ნახაზები და მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია.

### IX. მონიტორინგი და კონტროლი

შპს ბუსსს ანრის ადმინისტრაცია განახორციელებს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს. გაანალიზებული და შესწავლილი ინფორმაციის ხასიათისა და ჩატარების დროის მიხედვით, მონიტორინგი, შესაძლოა იყოს აქტიური (გამაფრთხილებელი) და რეაქციული (საპასუხო).

აქტიურ (გამაფრთხილებელ) მონიტორინგში შედის:

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

- დაკვირვება შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენაზე, დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე (პერიოდული სამედიცინო შემოწმების შედეგების მიხედვით), საწარმოო გარემოს უსაფრთხოებაზე;
- კონკრეტული გეგმების შესრულების, ასევე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარებული საქმიანობის შედეგების ანალიზი;
- სისტემატიური შემოწმებები არსებული პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა სისტემის ფუნქციონირების კუთხით.

### რეაქციულ (საპასუხო) მონიტორინგში შედის:

- საწარმოში ინციდენტებისა და პროფესიული დაავადებების კვლევის შედეგების ანალიზი;
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების, ინსტრუქციების ხარვეზების ანალიზი;
- უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანალიზი.

### პერიოდული კონტროლი განხორციელდება ყოველდღიურად და ყოველკვარტლურად.

პერიოდულ კონტროლს განახორციელებს ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი. ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მიერ ყოველდღიურად მოწმდება:

- სამუშაო ადგილების, სათავსების, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა;
- ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და სწორი გამოყენება;
- წინასამუშაო ინსტრუქტაჟებისა ჩატარება;

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



### შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

- წინა შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებებისა და მითითებების შესრულება;
- პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება.

**ყოველკვარტლური შემოწმება** განხრციელდება დირექტორის მიერ, ამისათვის შექმნილი კომისიის ან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით.

ყოველკვარტლური კონტროლის მიმდინარეობისას მოწმდება:

- ყოველდღიური კონტროლის ორგანიზება და შედეგები;
- სასწავლებლის დირექტორის განკარგულებებისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება;
- სასწავლებელში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიონალური დაავადებების მოკვლევის კომისიის/ჯგუფის მიერ განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
- სასწავლებელში ან სხვა მოწყობილობების, ტექნოლოგიური პროცესების გამართულობა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა დაცვა.
- დამცავი, სასიგნალო, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა და მოწყობილობების არსებობა და მათი მდგომარეობა;
- ინსტრუქტაჟის ჩატარების დროულობა და ხარისხი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობა და მომუშავეთა მიერ მათი გამოყენების სისწორე;
- სამუშაო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- დასაქმებულთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შესრულება;

## შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



## შრომის უსაფრთხოების გეგმა 2024 წლისთვის

- შრომის უსაფრთხოების თვალსაჩინო ნიშნები არსებობა და მათი მდგომარეობა.

ყოველკვარტლური კონტროლისას გამოვლენილი ნაკლოვანებები დაფიქსირდება შესაბამის დასკვნაში, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებები, მათი შემსრულებლები და შესრულების ვადები. შემოწმებისას გამოვლენილი ისეთი დარღვევების/ხარვეზების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პერსონალის ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს ავარია, მუშაობა წყდება ამ დარღვევების აღმოფხვრამდე.

### X. გეგმის დამტკიცება, ცვილებები

- 1) შპს ბუსსს ანრის შრომის უსაფრთხოების გეგმას ამტკიცებს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორი.
- 2) შრომის უსაფრთხოების გეგმას თან ერთვის შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა. რომელიც არის ამ დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი.
- 3) საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, სასწავლებელი პერიოდულად განახორციელებს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიკაციას.
- 4) შრომის უსაფრთხოების გეგმის შესრულების შესახებ ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს აცნობებს ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მოხსენებითი ბარათის წარდგენით.
- 5) ეს დოკუმენტი ეცნობა კომპანიის ყველა თანამშრომელს.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

---

**XI. დანართები**

1. დანართი: № 1 შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა
2. დანართი: № 2 რისკის შეფასების ფორმა
3. დანართი: № 3 RTC ფორმა
4. დანართი: № 4 უბედური შემთხვევის აღრიცხვის ჟურნალი.
5. დანართი № 5 ფუნქცია მოვალეობების გადანაწილება.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

დანართი 1: შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა

შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა

N	ღონისძიების დასახელება	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი პირი
1	შრომის უსაფრთხოების სამართლებრივ საკითხები და უსაფრთხო შრომის პრინციპების გაცნობითი შეხვედრა	6 თვეში ერთხელ	ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
2	პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქტაჟის ჩატარება თანამშრომლებისთვის.	6 თვეში ერთხელ	სასწავლებლის ექთანი
3	სასწავლებლის ტერიტორიაზე შემომსვლე თანამშრომლის, პროფესიული სტუდენტებისა და სტუმრების აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.	ყოველდღიურად	დაცვის მორიგე. ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
4	საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებები: მოულოდნელი განგაში-პრაქტიკული წვრთნა	6 თვეში ერთხელ	ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
5	სახანძრო უსაფრთხოება. მოულოდნელი განგაში-პრაქტიკული წვრთნა	6 თვეში ერთხელ	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
6	ელექტრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება	6 თვეში ერთხელ	ელექტრო მეურნეობაზე



შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

	თანამშრომლებისათვის		პასუხისმგებელი პირი, ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
7	შრომის უსაფრთხოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების კონტროლი და მათი გაცნობის უზრუნველყოფა თანამშრომლების, პროფესიული განათლების მაწავლებლების, ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის.	საჭიროებისამებრ	ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
8	პირველადი ინსტრუქტაჟები შრომის უსაფრთხოების შესახებ იმ პირებისათვის ვინც ახალად იწყებს სამუშაოს ან იცვლის დაპავებულ თანამდებობას.	საჭიროებისამებრ	ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

დანართი 2: რისკის შეფასების ფორმა

შემფასებლის სახელი და გვარი:		თარიღი:	
სამუშაო ობიექტის დასახელება:		დრო:	
სამუშაოს მოკლე აღწერა:			

საფრთხეთა იდენტიფიცირება	ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა	პირთა წრე	დაშავების / დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები	საწყისი რისკი			დამატებით ი კონტროლის ზომები	დარჩენილი რისკი			გასატარებელ ი ზომები / რეაგირება	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი / ვადა	გადახედვის სავარაუდო თარიღი
					ა	შ	რ		ა	შ	რ			

„ა“ – ალბათობა

„შ“ – შედეგი (სიმძიმე)

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

„რ“ – რეიტინგი

რისკის შეფასების მატრიცა

5	10	15	20	25
4	8	12	16	20
3	6	9	12	15
2	4	6	8	10

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

---

---

1	2	3	4	5
---	---	---	---	---

ა ლ ბ ა თ ო ბ ა

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

რისკი = ალბათობა x შედეგი

ალბათობა

- 1 = ძალიან საეჭვოა;
- 2 = საეჭვოა;
- 3 = შესაძლებელია;
- 4 = სავარაუდოა;
- 5 = შრომისუვნარობა

შედეგი

- 1 = უმნიშვნელო – დაზიანების გარეშე;
- 2 = მცირე – დაზიანება საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას;
- 3 = ზომიერი – დროებითი შრომისუვნარობა;
- 4 = სერიოზული – სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა;
- 5 = კატასტროფული – სიკვდილი ან მუდმივი შრომისუვნარობა

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

შედეგი	20-25	5- 15	1-4
	კრიტიკული	არსებითი	არაარსებითი
საჭირო ღონისძიებები	სამუშაო უნდა შეჩერდეს. დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები რისკის შესამცირებლად.	საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები. შეფასდეს პრიორიტეტები.	სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. პროცედურები არ არის მისაღები / საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

რისკების კატეგორიები სიმძიმის მიხედვით

კრიტიკული (E)	კრიტიკული შეუსაბამობა – მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა. სამუშაოები უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ.
მაღალი (H)	არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის; ღონისძიებების გატარება სავალდებულოა დაუყოვნებლივ, სამუშაოების შეჩერების გარეშე.
საშუალო (M)	არა არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის. ღონისძიებების გატარება სავალდებულოა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ.
დაბალი (L)	მისაღები რისკი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

დანართი 3: RTC ფორმა

TO BE COMPLETED BY WORK GROUP     
  TO BE COMPLETED BY LEADERMAN     
  TO BE COMPLETED BY SUPERINTENDENT / SUPERVISOR / FOREMAN / AUDITOR

<input type="checkbox"/> <b>RTC CHAMPION:</b>	BADGE NO#	<input type="checkbox"/> <b>LEADERMAN:</b>	
START OF TASK / SHIFT SIGN:	END OF TASK / SHIFT SIGN:	BADGE NO.#	SIGN:

TASKS INVOLVING			
01 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Access / Egress	11 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Handling Chemicals/Oils	21 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Power Tools	31 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Use of Electrical Equipment
02 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Confined Space	12 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Handling Waste	22 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Pressure / Stored Energy	32 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Use of Mechanical Equipment
03 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Discharges/Emissions to the Environment	13 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> High Pressure Wash-down	23 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Radiation	33 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Welding
04 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Elevated Work Platforms	14 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Ladders	24 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Refueling	34 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Working at Height
05 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Excavation / Trenching	15 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Lifting Operations / Equipment	25 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Restricted Space	35 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Working over Water
06 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Explosive Tools	16 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Maintenance	26 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Rigging / Slings	36 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Working with/on Gratings
07 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Gas Cutting	17 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Manual Handling	27 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Scaffolding	37 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
08 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Grinding	18 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Moving Loads	28 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Stacking / Storing	38 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
09 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Grit Blasting	19 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Moving People	29 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Transport	39 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
10 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Hand Tools	20 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Painting	30 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Uneven Ground	40 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>

RISKS (TO BE IDENTIFIED PRIOR TO TASK COMMENCING)			
01 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Asphyxiation	12 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Equipment Failure	23 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Moving People	34 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Stored Energy
02 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Back Strain	13 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Eye Injury	24 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Nipping / Pinch Points	35 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Stored Pressure
03 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Chemical Exposure	14 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Fall Potential	25 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Overloading Structures	36 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Struck BY
04 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Chemical reaction/incompatible materials	15 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Fire / Explosion / Ignition /Sparks	26 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Potential Release of Energy	37 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Temperature Extremes
05 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Contact/Impact	16 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Grating Removed/Deck Penetration	27 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Projectiles	38 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Underground Services
06 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Dropped Objects	17 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> High Noise Levels	28 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Rotating Equipment/ Machinery	39 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Unprotected Penetrations
07 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Drowning	18 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Inadequate Lighting	29 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Sharp Objects / Cuts / Burns	40 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Weather / Wind Conditions
08 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Dust / Fumes / Vapors/ Gases	19 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Inadequate ventilation	30 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Shock / Electrical	41 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
09 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Engulfment	20 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Incorrect waste segregation	31 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Simultaneous Operations	42 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
10 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Entanglement	21 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Inexperienced Personnel	32 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Slip /Trip / Fall	43 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
11 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Environmental Incident	22 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Line of Fire	33 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> Spill / Lack of Containment	44 <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>



შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

დანართი 4: უბედური შემთხვევის/ინციდენტის რეგისტრაციის ჟურნალი

N	შემთხვევის თარიღი, დრო და ადგილი	დაშავებულის პირადი ინფორმაცია	შემთხვევის სახე	შემთხვევის აღწერა	გამომწვევი მიზეზი	შედეგის სიმძიმე	განხორცი ელებული ქმედებები	შესრულების თარიღი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

დანართი 5: სასწავლებელში შრომის უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობა შემდეგნაირად არის განაწილებული:

დავალება	დირექტორი	შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი
ინფორმაციის შეგროვება არსებული რისკების შესახებ		ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
საფრთხეების იდენტიფიცირება		ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
რისკების შეფასება		ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
რისკების საკონტროლო/ შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა	დირექტორი ანზორ დიასამიძე	ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
რისკების შეფასების დოკუმენტირება		ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
რისკის მართვის გეგმის დამტკიცება	დირექტორი ანზორ დიასამიძე	
ინსტრუქტაჟების ჩატარების დაგეგმვა, დამტკიცება, ორგანიზება	დირექტორი ანზორ დიასამიძე	ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მინდია თავართქილაძე
ინსტრუქტაჟების ჩატარება		ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მინდია თავართქილაძე

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების გეგმა  
2024 წლისთვის

უსაფრთხოების წესების დაცვა სამუშაო ადგილებზე		სამუშაო ადგილზე მყოფი ყველა პირის მიერ
--	--	--

გეგმის შემმუშავებლები:

ბუსსს ანრის ვახტის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

მინდია თავართქილაძე \_\_\_\_\_

და

ბუსსს ანრის დასაქმებულთა წარმომადგენელი:

იურიდიული განყოფილების უფროსი

გიორგი დიასამიძე \_\_\_\_\_